S 83
1989

ISSN 0203—2023

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 9

1989

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 9 (590) სექტემბერი 1989 წელი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

173. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კოოპერატივების (კოლმეურნეობების გარდა) საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ.

174. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების თაობაზე.

175. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ.

176. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.

177. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ ქუთაისის საზღვრების დამტკიცების შესახებ.

178. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დაბა სურამის საზღვრების დამტკიცების შესახებ.

179. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიის შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

180. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. კ. პანკინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

181. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

182. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. სანაიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

183. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. დ. ჩოჩუასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

184. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

185. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. შ. ავსაჯანიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

186. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ლ. ალტშულერის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

187. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ტ. გაგნიძისათვის „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

188. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ფ. გიორგობიანისათვის „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

189. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ი. ეზიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

190. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ც. ს. ვარძელაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

191. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. შ. ვაშაკიძისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

192. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ვ. ცუცქირიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

193. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. რ. ხოსიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

194. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. თ. ჯაფარიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

195. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. თ. ბაღიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

173 კოოპერატივების (კოლმეურნეობების გარდა) საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დადგინდეს, რომ საწარმოო კოოპერატივები (კოლმეურნეობების გარდა), აგრეთვე მათი კავშირები და გაერთიანებანი, რომლებიც შემოსავალს სამეურნეო საქმიანობიდან იღებენ (შემდგომში იწოდებიან „კოოპერატივებად"), ბიუჯეტში იხდიან საშემოსავლო გადასახადს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის ამონაგებიდან და სხვა შემოსულობებიდან; ამ ამონაგებს და შემოსულობებს აკლდება დახარჯული ნედლეულისა და მასალების ღირებულება, სხვა ორგანიზაციებს მიერ გაწეული მომსახურების საფასური, სატრანსპორტო ხარჯები, საამორტიზაციო ანარიცხები, ძირითადი ფონდების საიჯარო საფასურის თანხები, ბანკის მოკლევადიანი კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტები, ძირითადი საშუალებების შესასყიდად ფაქტობრივად გაწეული ხარჯები, კადრების მომზადებისა და სხვა ხარჯები (გარდა შრომის ანაზღაურების ხარჯებისა), რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებასა და რეალიზაციასთან, აგრეთვე ძირითადი საქმიანობის შედეგად გადახდილი გადასახადებისა და ბიუჯეტში სხვა სავალდებულო გადასახდელების თანხები, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების ჩათვლით.

არ იბეგრება შემოსავლის ნაწილი, რომელიც შეაქვთ საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდში, საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდში, საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდში, საბჭოთა კავშირის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდში, საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდში, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დემოგრაფიულ ფონდში, საქართველოს ძეგლთა დაცვის ფონდში, 9 აპრილს უდანაშაულოდ დაღუპულთა მემორიალის აგების ფონდში, სხვა ანალოგიურ ფონდებსა და ზოგიერთი საქველმოქმედო მიზნებისათვის, აგრეთვე შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც დახარჯულია გარემოს დაცვისათვის.

2. კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები განისაზღვროს კოოპერატივების საქმიანობის სახეების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

	კოოპერატივების საქმიანობის სახეები	კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ოდენობა (პროცენტებში დასაბეგრი შემოსავლის მიმართ)
I.	სახალხო მოხმარებისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონლის წარმოება:	
	მეორეული ნედლეულისა და წარმოების ნარჩენებისაგან დამზადებული საქონელი	10
	სრულფასოვანი ნედლეულისა და მასალებისაგან წარმოებული საქონელი	20
II.	ინვალიდებისა და ხანდაზმულებისათვის სპეციალური დანიშნულების საქონლის წარმოება	5
III.	ეროვნული ტანსაცმლის, თავსაბურების, მუსიკალური ინსტრუმენტების, საოჯახო ნივთებისა და სხვა საყოფაცხოვრებო საქონლის, ეროვნულ-ტრადიციული და ხალხური რეწვის ნაწარმის დამზადება	2
IV.	მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება:	
	სამუშაოების შესრულება და მომსახურების გაწევა უშუალოდ მოსახლეობისათვის	15
	სამუშაოების შესრულება და მომსახურების გაწევა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის	20
V.	მოსახლეობის ავტომანქანებით მომსახურება:	
	მგზავრთა გადაყვანა	20
	ტვირთის გადაზიდვა	25
VI.	სამედიცინო მომსახურება	15
VII.	სპორტულ-გამაჯანსაღებელი მომსახურების ორგანიზაცია	10
VIII.	სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების წარმოება:	
	მოსახლეობისათვის რეალიზაციის პირობებში	10
	საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის რეალიზაციისას	20
IX.	მეორეული რესურსების, წარმოებისა და საკვები პროდუქტების ნარჩენების (საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩათვლით) დამზადება, გადამუშავება და რეალიზაცია	10
X.	საპროექტო-საძიებო, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, გამოთვლითი, დიზაინისა და არქიტექტურული სამუშაოების შესრულება*	15
XI.	სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება	10
XII.	სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოების შესრულება	20
XIII.	საწარმოო, საგზაო ობიექტებისა და ბინების მშენებლობა და შეკეთება:	10
	მოსახლეობისათვის	

* კოოპერატივებს, რომლებიც ასრულებენ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და რესტავრაციასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი უმცირდებათ 5 პროცენტული პუნქტით.

	კოოპერატივების საქმიანობის სახეები	კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ოდენობა (პროცენტებში დასაბეგრი შემოსავლის მიმართ)
	სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის*	20
XIV.	სავაჭრო, სავაჭრო-შესყიდვითი საქმიანობის ორგანიზაცია	35
XV.	საზოგადოებრივი კვება:	
	საკუთარი წარმოების ნედლეულისა და მასალების გამოყენების პირობებში	15
	შესყიდული ნედლეულისა და მასალების გამოყენებისას	20
XVI.	საშუამავლო საქმიანობა:	
	მოსახლეობისათვის	25
	სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის	35
XVII.	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია:	
	წარმოება და რეალიზაცია	5
	გადამუშავება და რეალიზაცია	15
XVIII.	ფასიანი კონცერტების, დისკოთეკების, შემოქმედებითი შეხვედრებისა და გასართობი პროგრამების ორგანიზაცია	35
XIX.	სათეატრო და სამხატვრო საქმიანობა	15
XX.	მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მომზადება	15
XXI.	ინვალიდების, ავადმყოფების, ხანდაზმულებისა და ბავშვების მოვლა-პატრონობა	2
XXII.	საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების დასუფთავება და მათი ნორმალურ სანიტარიულ მდგომარეობაში შენახვა, გარემოს ეკოლოგიური გაბინძურებისაგან გაწმენდის სამუშაოების შესრულება	2
XXIII.	საქმიანობის სხვა სახეები	20

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი და გადამმუშავებელი კოოპერატივები (კოლმეურნეობების გარდა), სამშენებლო კოოპერატივები და სამშენებლო მასალების მწარმოებელი კოოპერატივები მუშაობის პირველი ორი წლის განმავლობაში მთლიანად თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან.

4. კოოპერატივები, რომლებიც მესამე პუნქტში არ მოიხსენებიან, პირველ წელს იხდიან მეორე პუნქტით დაწესებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 25 პროცენტს, მეორე წელს კი — 50 პროცენტს.

5. კოოპერატივებს, რომლებიც ეწევიან მეორე პუნქტის I და XIV ქვეპუნქტებში აღნიშნულ საქმიანობას, ამასთან თვითონ ახდენენ საკუთარი ძალე-

---

* კოოპერატივებს, რომლებიც ასრულებენ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და რესტავრაციასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი უმცირდებათ 5 პროცენტული პუნქტით.

ბით წარმოებული და შესყიდული პროდუქციის რეალიზაციას რესპუბლიკის ფარგლებში, გადასახადის განაკვეთი უმცირდებათ 10 პროცენტით.

6. თუ მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტებით გათვალისწინებული კოოპერატივები სამი წლის განვლამდე შეწყვეტენ თავიანთ საქმიანობას, ისინი დაიბეგრებიან ამ სახეობის კოოპერატივებისათვის დაწესებული გადასახადის სრული ოდენობით მოქმედების მთელი დროის განმავლობაში.

7. კოოპერატივებს, რომლებიც ეწევიან მეორე პუნქტში ჩამოთვლილ საქმიანობას (გარდა II, III, XVII — სასოფლოს-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია, XXI და XXII სახის საქმიანობისა) და საკუთარი წარმოების პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციას ახდენენ სახელმწიფო ფასებში, დამტკიცებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეუმცირდებათ 5 პროცენტული პუნქტით.

8. კოოპერატივების ფილიალები (განყოფილებები), რომლებიც განლაგებულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ან ცალკე ბალანსი და ანგარიში ბანკის განყოფილებებში, საშემოსავლო გადასახადს იხდიან მათი ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით, იმ რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას.

9. სოფლად მდებარე კოოპერატივებს (გარდა ქალაქების და რაიონული ცენტრების მიმდებარე სოფლებსა და ტრასებზე მდებარე კოოპერატივებისა) საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეუმცირდებათ 10 პროცენტით, ხოლო დაშორებულ ან მთიან სოფლებში განლაგებულ კოოპერატივებს — 20 პროცენტით. ქალაქებისა და რაიონების მიმდებარე, აგრეთვე დაშორებული და მთიანი სოფლების ნუსხას ამტკიცებენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები.

10. კოოპერატივები, რომლებიც ეწევიან რამდენიმე სახეობის საქმიანობას (მრავალდარგობრივი), ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადს იხდიან ცალკეული სახეობების მიხედვით.

11. მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებისა და მისი ფასების (ტარიფების) შემცირების სტიმულირების მიზნით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია კოოპერატივი, შეუძლიათ შეუმცირონ მათ გადასახადის განაკვეთი ან მთლიანად გაათავისუფლონ გადასახადისაგან ცალკეული კოოპერატივები გარკვეული ვადით. შეღავათები პირველ რიგში ეძლევათ კოოპერატივებს, რომელთა წევრების არანაკლებ 50 პროცენტს შეადგენენ შეზღუდული შრომისუნარიანობის მქონე პირები (ყველა კატეგორიის ინვალიდები, პენსიონერები ასაკის გამო, მოსწავლეები). აგრეთვე იმ კოოპერატივებს, რომლებიც იყენებენ ადგილობრივ და მეორეულ ნედლეულს, აწარმოებენ და ამუშავებენ საკუთარ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ამზადებენ სპეციალური დანიშნულების საქონელს ინვალიდების და ხანდაზმულებისათვის, ეწევიან მოწყალების სამსახურს, ითვისებენ მაღალი ხა-

რისხის ახალ პროდუქციას, რომელიც დაკავშირებულია წარმოების გაზრდილ ხარჯებთან.

12. კოოპერატივები მოვალენი არიან საფინანსო ორგანოებს წარუდგინონ შემოსავლების დეკლარაცია არა უგვიანეს მომდევნო კვარტალის პირველი თვის 15 რიცხვისა. დეკლარაციის წარდგენის წესსა და ფორმას ადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

13. საშემოსავლო გადასახადს კოოპერატივი იხდის კვარტალში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო კვარტალის პირველი თვის 20 რიცხვისა. გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდას თვით კოოპერატივი ახდენს.

14. კოოპერატივს ეკისრება პასუხისმგებლობა საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების სისწორისა და დროულად გადახდისათვის. დასაბეგრი შემოსავლის დამალვის ან შემცირების შემთხვევაში კოოპერატივი ბიუჯეტში იხდის დამალული (შემცირებული) შემოსავლის მთელ თანხას მისი მიღების დროის მიუხედავად, აგრეთვე ჯარიმას ამ თანხის ოდენობით, ხოლო ამგვარი ქმედების განმეორების შემთხვევაში ჯარიმის გადახდევინება მოხდება ამ თანხის ორმაგი ოდენობით. დამალული (შემცირებული) შემოსავლის თანხა და ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს 5 დღეში დარღვევის გამოვლენის მომენტიდან.

15. დადგინდეს რომ თუ კოოპერატივი დროულად არ გადაიხდის ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის თანხას, დაერიცხება საურავი გადასახდელი თანხის 0,05 პროცენტის ოდენობით — ვადის გადაცილების ყოველი დღისათვის.

გადასახადის თანხა, აგრეთვე დამალული (შემცირებული) შემოსავალი და ჯარიმა შემოსავლის დამალვისათვის (შემცირებისათვის), რომლებიც შეტანილი არ არის დადგენილ ვადაში, კოოპერატივებს გადახდებათ საფინანსო ორგანოების განკარგულებით უდავო წესით.

16. საშემოსავლო გადასახადის თანხა, დამალული (შემცირებული) შემოსავლის თანხა და ჯარიმა შემოსავლის დამალვისათვის (შემცირებისათვის) გადაირიცხება იმ რაიონის ან ქალაქის ბიუჯეტში, რომლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა ვაატარა რეგისტრაციაში აღნიშნული კოოპერატივის წესდება, ხოლო კოოპერატივების კავშირებსა და გაერთიანებებს გადასახადების თანხები შეაქვთ რაიონის ან ქალაქის ბიუჯეტში მათი ადგილსამყოფელის მიხედვით.

17. კონტროლს კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების სისწორისა და გადახდის დროულობის, დეკლარაციების შედგენის სისწორისა და წარდგენის დროულობისადმი ახორციელებენ საფინანსო ორგანოები. კოოპერატივებმა საფინანსო ორგანოების მოთხოვნით უნდა წარადგინონ ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა დასაბეგრი შემოსავლის ოდენობისა და გადასახადის თანხის განსაზღვრის სისწორის შესამოწმებლად.

18. კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის გადახდევინების დროს დაშვებული საფინანსო ორგანოების თანამდებობის პირთა არასწორი მოქმედების გასაჩივრება წარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981

წლის 26 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებული ვადაზე შეუტანელი გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელების გადახდევინების შესახებ დებულებით განსაზღვრული წესით.

19. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1989 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 1 სექტემბერი.
№ 2300—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

174 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტები გამოტანილ იქნეს სახალხო განხილვისათვის.

გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებში 1989 წლის 19 სექტემბერს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი, ხოლო 20 სექტემბერს — საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონულმა და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა მოაწყონ პროექტებთან დაკავშირებით სახალხო დეპუტატების, მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ წარმოდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადება.

3. ბეჭდვითი სიტყვის რესპუბლიკურმა ორგანოებმა, ტელევიზიამ და რადიომაუწყებლობამ განაზოგადონ კანონპროექტებთან დაკავშირებით მათთან შესული წინადადებები და შენიშვნები.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ განიხილოს ზემოაღნიშნული პროექტების სახალხო განხილვის დროს შემოსული წინადადებები და შენიშვნები და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებანი.

5. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტებთან დაკავშირებული წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადების მასალები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარედგინება ხუთ დღეში ერთხელ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 18 სექტემბერი.
№ 2308—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

175 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662) შემდეგი **დამატებანი:**

1. 104-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა: ამ მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული წესი საცხოვრებელი სახლისა ან მისი ნაწილის ზღვრული ოდენობის შესახებ არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქე დადგენილი წესით შეიძენს პირად საკუთრებაში მის მიერ დაკავებულ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი **საბინაო ფონდის სახლსა თუ ბინას“.**

2. 119-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა: ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქე დადგენილი წესით შეიძენს პირად საკუთრებაში მის მიერ დაკავებულ ბინას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 21 სექტემბერი.
№ 2312—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

176 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) 180-ე მუხლში ცვლილებები და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 180. მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების პირდაპირი ან ფარული დარღვევა (მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ჩუქება, იჯარა, მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცება ან გაცვლა და სხვ.) —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე, მიწის ნაკვეთის და მასში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევით და ამ ნაკვეთზე აგებულ ნაგებობათა კონფისკაციით ან აღებით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ან ჯარიმით სამი ათას მანეთამდე, მიწის ნაკვეთის და მასში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევით და ამ ნაკვეთზე აგებულ ნაგებობათა კონფისკაციით ან აღებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 25 სექტემბერი.
№ 2313—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

177 ქალაქ ქუთაისის საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების შესაბამისად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ტერიტორია 7.906,78 ჰექტარით.

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის საზღვრების აღწერილობა თანახმად დანართისა. (ერთვის ბრძანებულების დედანს).

3. დაწესდეს, რომ ქალაქის საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები დარჩეს შესაბამის მიწათმოსარგებლეთა სარგებლობაში და ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით ამ მიწებიდან ნაკვეთების გამოყოფა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 27 სექტემბერი.
№ 2326—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

178 დაბა სურამის საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების შესაბამისად განისაზღვროს დაბა სურამის ტერიტორია 572,74 ჰექტარით.

2. დამტკიცდეს დაბა სურამის საზღვრების აღწერილობა თანახმად დანართისა. (ერთვის ბრძანებულების დედანს).

3. დაწესდეს, რომ დაბა სურამის საზღვრების ფარგლებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები დარჩეს კოლმეურნეობისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა სარგებლობაში და ამ მიწებიდან ნაკვეთების გამოყოფა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. გაუქმდეს სოფლები ბულაურა, გვერდისუბანი, იტრია და ჩუმათელეთი მათი დაბა სურამის ფარგლებში შესვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 27 სექტემბერი.
№ 2327—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

179 **საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიის შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ სესიის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები — საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონთა პროექტების ფართო, საჯარო განხილვა ვერ მოესწრო, ასევე დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წინადადებების გათვალისწინებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1989 წლის 30 სექტემბერს დანიშნული საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია გადაიდოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 28 სექტემბერი.
№ 2328—XI

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

180 **ამხ. ვ. კ. პანკინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციისათვის აქტიური მუშაობისა და ერთაშორისი ურთიერთობის გამწვავების ექსტრემალურ სიტუაციაში პრაქტიკული დახმარებისათვის მილიციის გენერალ-ლეიტენანტი ვიაჩესლავ კირილეს ძე **პანკინი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 1 სექტემბერი.
№ 2301—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

181 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ისრაელში ქართული კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდის, ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში წვლილისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

იაკობ ხანანის ძე **გოლანი (ჩიკვაშვილი)** — გაზეთ „ალია საქართველოდან" კორესპონდენტი.

ვაჟა მიხეილის ძე **თოფჩიაშვილი** — გაზეთ „ალია საქართველოდან" რედაქტორი.

აბრამ შაბათას ძე **საპირი (სეფიაშვილი)** — გაზეთ „ალია საქართველოდან" მთავარი რედაქტორი.

სულო ფილხაზის ძე **სეფიაშვილი** — გაზეთ „ალია საქართველოდან" რედაქტორი.

დავით ილიას ძე **ხუბელაშვილი** — ისრაელის ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 14 სექტემბერი.
№ 2307—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

182 ამხ. ვ. ვ. სანაიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საგუნდო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს, განათლების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის სტუდენტთა გუნდის ხელმძღვანელს ამხ. თენგიზ ვიქტორის ძე **სანაიას** მიენიჭოს „**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის**" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 18 სექტემბერი.
№ 2309—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

183 **ამხ. თ. დ. ჩოჩუასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საბჭოთა სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტს თენგიზ დომენტის ძე **ჩოჩუას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 18 სექტემბერი.
№ 2310—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

184 **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და წარმატებული სასცენო მოღვაწეობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებს:

ლილი ვლადიმერის ასულ **თავაძეს.**
ომარ პლატონის ძე **მაღრაძეს.**
ქეთევან გიორგის ასულ **შარიქაძეს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია,**

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2325—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

185 **ამხ. გ. შ. ავსაჯანიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

არქიტექტურის განვითარებაში წვლილისათვის ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ № 1 არქიტექტურული სახელოსნოს ჯგუფის ხელმძღვა-

ნელს ამხ. გიორგი შალვას ძე ავსაჯანიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2323—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

186 ამხ. ი. ლ. ალტუშულერის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე ამხ. იოსებ ლევის ძე ალტუშულერი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2319—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

187 ამხ. შ. ტ. გაგნიძისათვის „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კოოპერაციის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ცენტრალურ კავშირის გარდაბნის რაიკოოპკავშირის ვაზიანის ხე-ტყის ბაზის დირექტორს ამხ. შალვა ტარასის ძე გაგნიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2315—XI

საქ. სსრ ეროვ. მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთ. ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

188 **ამხ. ნ. ფ. გიორგობიანისათვის „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

კავშირგაბმულობის განვითარების საქმეში წვლილისათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს თბილისის ტექნიკური მაგისტრალური კავშირების № 1 ტექნიკური კვანძის უფროსს ამხ. ნოდარ ფილიპეს ძე **გიორგობიანს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2320—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

189 **ამხ. თ. ი. ეზიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საავტომობილო ტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს ავტობაზის მძღოლს ამხ. თათრახან ივანეს ძე **ეზიაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2324—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

190 **ამხ. ც. ს. ვარძელაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ქარელის საკონსერვო ქარხნის უფროს ეკონომისტს ამხ. ციური სიმონის

ასულ **ვარძელაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2316—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

191 ამხ. გ. შ. ვაშაკიძისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში წვლილისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის ნ. ს. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული განყოფილების გამგეს ამხ. გივი შალვას ძე **ვაშაკიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2321—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

192 ამხ. გ. ვ. ცუცქირიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამართალდაცვით ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ამხ. გიორგი ვლადიმერის ძე **ცუცქირიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2322—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

193 ამხ. თ. რ. ხოსიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის გაერთიანება „საქაგრომონტაჟის“ მმართველი ამხ. თენგიზ რომანის ძე **ხოსიტაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2318—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

194 ამხ. ა. თ. ჯაფარიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში წვლილისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტს ანტონ თეიმურაზის ძე **ჯაფარიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 26 სექტემბერი.
№ 2314—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

195 ამხ. გ. თ. გაღიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის „საქწყალექსპლუატაციის“ რესპუბლიკური გაერთიანების ზუგდიდის

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. გრიგოლ თეიმურაზის ძე ბაღიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვპარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 27 სექტემბერი.
№ 2317—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **დაადგინა:**

გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თხოვნის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მოხსენებითი ბარათი გაეგზავნოს გორის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს განსახილველად და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სამართალდაცვითი ორგანოების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ფორმირებების საქმიანობის გააქტიურებისათვის გადაუდებელი ზომების მისაღებად.

დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. თ. შ. კაბულოვას და იურიდიული განყოფილების გამგეს ამხ. ი. პ. ჩიქოვანს მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მიერ შემოწმების შედეგების ადგილზე განხილვაში.

გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის მიღებული ზომების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის დამლევამდე.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულებით მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და

მარნეულის რაიონული საბჭოები გაერთიანდა ერთ — სახალხო დეპუტატთა მარნეულის რაიონულ საბჭოდ და ქალაქი მარნეული გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ უფლებამოსილებანი მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოში.